



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 9 „10“ 10 2019⁶

დადგენილება № 45

პროფესორ როინ ყავრელიშვილის საერთაშორისო სიმპოზიუმზე და ასოცირებული პროფესორის ეთერ ნარიმანიშვილის საერთაშორისო კომფერენციაზე გაგზავნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის:
 - ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუამდგომლობა და პროფესორ როინ ყავრელიშვილს სომხეთის რესპუბლიკაში, ქ. გიუმრში, საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობისათვის აუნაზღაურდეს დღიური ხარჯი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
 - ბ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის შუამდგომლობა და ასოცირებულ პროფესორ ეთერ ნარიმანიშვილს ქ. რომში, იტალიის საერთაშორისო კონფერენციაზე გამგზავრებისათვის აუნაზღაურდეს მგზავრობის ხარჯი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჩაბარდეს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ბიზნესის ადმინისტრირებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს.
4. საფუძველი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის 2019 წლის 01 ოქტომბრის N03/01 გადაწყვეტილება; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 20 სექტემბრის N07/06 გადაწყვეტილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე